



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 20
26/09/2016

20-06-4-201609261757



დადგენილება №20

2016 წლის 23 სექტემბერი
ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო:

ა დ გ ე ნ ს

1.შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2016/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდებლების ნაწილში **205 000 ლარით**:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **205 000 ლარით**;

კერძოდ:

ა) შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო -

205 000 ლარით;

აგრეთვე დაზუსტდეს საგადასახადო შემოსავლები საბიუჯეტო კლასიფიკაციაში.

შემცირდეს:

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან (ორგანიზაციული კოდი 1131152) – **205 000 ლარით**;

გაიზარდოს:


გ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან (ორგანიზაციული კოდი 11111) – **205 000 ლარით**;

შესაბამისად გაიზარდოს:

დ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 03 07-2.8.2.2.) – 205 000 ლარით;
სულ გაიზარდოს 205 000 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო